დამტკიცებულია რსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2012 წლის 26 ივლისის #01-11/60 ბრძანებით

სასტუმრო მომსახურების ხელშეკრულება №43

ქ. ბათუმი. 27 ივლისი 2012 წ.

ერთის მხრივ სსიპ ,, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი'', წარმოდგენილი მინდობილი პირის, უნივერსიტეტის სტუდენტთა საცხოვრებლის დირექტორის თემურ გოგიტიძის სახით (შემდგომში – "უნივერსიტეტი'') და მეორე მხრივ ფიზიკური/იურიდიული პირი სსიპ „ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი" (შემდგომში ,,მომსახურების მიმღები''), მოქმედებენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში და დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ,,უნივერსიტეტის" მიერ ქ.ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხის ტერიტორიაზე მდებარე სტუდენტთა საცხოვრებელში სასტუმრო **მომსახურების 8 (რვა) დღე-ღამით (5 აგვისტოდან 13 აგვისტომდე) გაწევა 20 საწოლზე** ამ მომსახურების მიმღებისათვის.

2. მხარეთა უფლება– მოვალეობანი

2.1. უნივერსიტეტს უფლება აქვს შეუფერხებლად შევიდეს და დაათვალიეროს წინამდებარე ხელშეკრულების საგანი.

2.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (საერთო საცხოვრებელის ადმინისტრაციის კანონისმიერი მოთხოვნების, მომსახურების საფასურის გადახდა ან/და საცხოვრებელის დროულად დატოვება).

2.3. მომსახურების მიმღები ვალდებულია დაიცვას ყველა საყოფაცხოვრებო და ხანძარსაწინააღმდეგო წესი. ამ მიზნით შეასრულოს საცხოვრებლის ადმინისტრაციის კანონისმიერი მოთხოვნები; გადაიხადოს მომსახურების საფასური დადგენილი წესის შესაბამისად;

2.4. მომსახურების მიმღები პასუხისმგებელია ყველა ზარალზე, რომელიც მიადგა უნივერსიტეტს წინამდებარე ხელშკრულების მომსახურების მიმღების ქმედების შედეგად.

3.ხელშეკრულების საფასური და მისი მოქმედების ვადა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების საფასური შეადგენს ერთ საწოლეზე/ერთ ადამიანზე - დღე-ღამეში 10 (ათი) ლარს ეროვნულ ვალუტაში, დ.ღ.გ–ს ჩათვლით.

3.2. სრული მომსახურების ღირებულება შეადგენს 1600 (ერთიათასექვსასი) ლარს, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

3.3. ხელშეკრულების საფასურის გადახდა ხორციელდება წინასწარ, როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორების სახით.

3.4. მომსახურების მიმღების მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გადახდილი თანხა უკან არ ბრუნდება.

4. დასკვნითი დებულებანი

4.1 უნივერსიტეტს უფლება აქვს მომსახურების მიმღების თანხმობის გარეშე გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ იგი არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. ასეთ შემთვხვევაში მომსახურების მიმღებს არ უბრუნდება მის მიერ გადახდილი მომსახურების საფასური.

მხარეთა რეკვიზიტები:

,,უნივერსიტეტი' ,, მომსახურების მიმღები''

სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი''
მის.: ქ. ბათუმი ე. ნინოშვილის ქ. №35
ს.ს. „ბაზისბანკი"
ს.კ. *245 428 158*
ბ/კ: *CBASGE22*
ანგ. №*GE69BS0000000000133557*

თემურ გოგიტიძე

(ხელმოწერა)

სსიპ ,,ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი"
მის.: ქ. თბილისი სანაპიროს 4
ს.ს. თიბისი ბანკი"-ს
ს.კ. 202 466 232 ბ/კ: TBCBGE22
ანგ. № GE32TB7250336080100001
ცენტრის დირექტორი

მერაბ ჩუხუა

(ხელმოწერა)